კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს კონტროლის პალატის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.control.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 10 თებერვალი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს კონტროლის პალატა
www.control.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
68.42%
81.54%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
34.78%
60.19%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80.00%
46.13%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
59.26%
30.03%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
28.57%
23.00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
34.78%
23.50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20.00%
19.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
20.00%
20.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
42.86%
18.33%
0.00%
50.00%
100.00%

საქართველოს კონტროლის პალატის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის კომპეტენციის აღწერა:

თქვენ იმყოფებით: მთავარი » სკპ-ის შესახებ » ადმინისტრაცია

საქართველოს კონტროლის პალატის *ადმინისტრაცია*

სტრუქტურა

ლევან ბეჟაშვილი
საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე

საკონტაქტო ინფორმაცია

thecontrolge@control.ge

+(995 32) 243 81 01

+(995 32) 243 81 01

დაბადების თარიღი:
09.11.1974 წ.

დაბადების ადგილი
თბილისი, საქართველო

ოჯახური მდგომარეობა:
დაოჯახებული

ენების ცოდნა:
რუსული, ინგლისური

განათლება:
1996 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, იურისტის კვალიფიკაციით.

სამუშაო გამოცდილება:
2008 წლის 15 ივლისიდან არის საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე;
2008 წლის თებერვლიდან ივლისამდე იყო საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კახეთის რეგიონში;
2004-2008 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი; საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე;
2003-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მინისტრის მოადგილედ;
1999-2003 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი; განყოფილების უფროსი; დეპარტამენტის უფროსი;
1997-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის აპარატში უფროს სპეციალისტად; წამყვან სპეციალისტად;
1996-1997 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგამომძიებო სამმართველოში გამომძიებლის თანაშემწედ.

- არ მოიძიება საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეთა კომპეტენციის აღწერა და კონტროლის პალატის საქმიანობის იმ მიმართულებების აღწერა, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ. აგრეთვე არ მოიძიება საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეთა სამუშაო ელ.ფოსტების მისამართები:

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამივე ქალაქში საქართველოს კონტროლის პალატის ადგილსამყოფელის საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება):



3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს კონტროლის პალატის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები). ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე შესაქმნელია განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ფუნქციები“, სადაც განთავსდებოდა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საქართველოს კონტროლის პალატის მისიის, ძირითადი მიზნების და უფლებამოსილების აღწერა. ხსენებულ შესაქმნელ (ქვე-) განყოფილებაში სასურველია აგრეთვე გადმოტანილ იქნეს შესაბამისი ინფორმაცია განყოფილებიდან სათაურად „ხდკ“:

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. განყოფილებაში „სკპ-ის შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება სათაურად „სტრუქტურა“ ცარიელია. შესაბამისად, ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს კონტროლის პალატის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:



- არ მოიძიება კონტროლის პალატის სტრუქტურის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;

- არ მოიძიება კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერა;

- არ მოიძიება კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა, ხოლო მათი სამუშაო ელ.ფოსტებიდან მოცემულია ერთადერთი ელ.ფოსტა - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მაგალითზე:



- არ მოიძიება საქართველოს კონტროლის პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები:

- არ მოიძიება არანაირი სახის ინფორმაცია კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა შესახებ:

  ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი;

  დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტი;

  საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტი;

  პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახური.

შოთა თარხნიშვილი
საქართველოს კონტროლის
პალატის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე
+(995 32) 243 81 06
+(995 32) 243 81 31

გიორგი ბოტკოველი
საქართველოს კონტროლის
პალატის ადმინისტრაციული
დეპარტამენტის უფროსი
+(995 32) 243 81 31
+(995 32) 243 81 31

გიორგი ლაცაბიძე
საქართველოს კონტროლის
პალატის თავმჯდომარის
მოადგილე
+(995 32) 243 81 07
+(995 32) 243 81 78

ნატო ზაალიშვილი
საქართველოს კონტროლის
პალატის იურიდიული
დეპარტამენტის უფროსი
+(995 32) 243 81 26
+(995 32) 243 81 31

დევი ვეფხვაძე
საქართველოს კონტროლის
პალატის თავმჯდომარის
მოადგილე
+(995 32) 243 81 09
+(995 32) 243 81 78

გიორგი თარაშვილი
საქართველოს კონტროლის
პალატის ექსპერტიზის
სამსახურის უფროსი
+(995 32) 243 81 16
+(995 32) 243 81 31

თორნიკე შერმადინი
თავდაცვის,საზოგადოებრივი
წესრიგისა და უსაფრთხოების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მ/შ
+(995 32) 243 81 49
+(995 32) 243 81 31

ლევან წერეთელი
საქართველოს კონტროლის
პალატის შიდა აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
+(995 32) 243 81 28
+(995 32) 243 81 78

გიორგი ალასანია
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
+(995 32) 43 81 47
+(995 32) 243 81 31

გიორგი ჯერენაშვილი
საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
+(995 32) 243 81 19
+(995 32) 243 81 78

ვასილ გიგოლაშვილი
ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

- არ მოძიება კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების ხელმძღვანელების კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის ადმინისტრაცია

ნოე ქაშიბაძე

დაბადების თარიღი:

05.01.1970წ.

დაბადების ადგილი:

სოხუმი,საქართველო

ოჯახური მდგომარეობა:

მეუღლე, ორი შვილი

ენების ცოდნა:

რუსული, ინგლისური

განათლება:

1991 წელი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტი, ეკონომიკის კვალიფიკაციით, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ACCA-ს 12 წიგნი.

სამუშაო გამოცდილება:

2010 წლის 22 იანვრიდან აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

2009 წლის 23 დეკემბრიდან აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე;

2008–2009 წლებში საქართველოს კონტროლის პალატა, უფროსი კონტროლიორი,მთ. აუდიტორი;

1993–2008 წლებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატა,მთ. ინსპექტორი, კონტროლიორი;

1991–1993 წლებში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობა "ემერა", მთ. ბუღალტრის მოადგილე.

- არ მოიძიება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები, საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითებები), ფაქსის ნომრები და ელ.ფოსტის მისამართები:

საკონტაქტო ინფორმაცია

იხილეთ დეტალური **ინფორმაცია**

მისამართი:

ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. N7 , იუსტიციის სახლი

ტელ:

+ (995 32) 243 81 97

+ (995 32) 243 81 95

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის ოქმები (არსებობის შემთხვევაში) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები):



პრეზიდიუმის შემადგენლობა

იხილეთ დეტალური **ინფორმაცია**

საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის შემადგენლობა:

ლევან ბეჟაშვილი – საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე;

შოთა თარხნიშვილი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

გიორგი ლაცაბიძე - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე;

დევი ვეფხვაძე - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე;

ნოე ქაშიბაძე – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

ნატო ზაალიშვილი – საქართველოს კონტროლის პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი ბოტკოველი – საქართველოს კონტროლის პალატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი ალასანია – საქართველოს კონტროლის პალატის სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;

ვასილ გიგოლაშვილი – საქართველოს კონტროლის პალატის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი ჯერენაშვილი – საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;

ამასთან, განყოფილებაში „სკპ-ის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „პრეზიდიუმი“ მოყვანილი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი მოცემულია ძველი მდგომარეობით:

პრეზიდიუმის შესახებ

იხილეთ დეტალური **ინფორმაცია**

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“
საქართველოს კანონი
მუხლი 13. კონტროლის პალატის პრეზიდიუმი და მისი უფლებამოსილება

1.კონტროლის პალატაში იქმნება კონტროლის პალატის პრეზიდიუმი, რომელშიც თანამდებობრივად შედიან კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების თავმჯდომარეები. პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

2.კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომას იწვევს კონტროლის პალატის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით, ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის ან პრეზიდიუმის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

3. კონტროლის პალატის პრეზიდიუმს თავმჯდომარეობს კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილება), პროგრამებისა და პროექტების არქივი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, რიგი ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*, ამასთან ვებ-გვერდზე მოცემულია ძალზედ მწირი რაოდენობის სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზა.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სკპ-ის შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „ადმინისტრაციული წარმოება“ ცარიელია:



თქვენ იმყოფებით: მთავარი » სკპ-ის შესახებ » ადმინისტრაციული წარმოება

ადმინისტრაციული წარმოება | *გამოცემული*

პროექტები

განყოფილებაში „ანგარიში“ არსებული ქვე-განყოფილება „აუდიტის აქტები“ ცარიელია:

თქვენ იმყოფებით: მთავარი » ანგარიში » აუდიტის აქტები

ამოზეჭდვა

ცარიელია აგრეთვე ქვე-განყოფილებაში „საერთაშორისო ურთიერთობები“ არსებული ბმულის სათაურად „დაგეგმილი ღონისძიებები“ შიგთავსი:

სასურველია, აგრეთვე, ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს სტრუქტურული ერთეულების ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ, ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების საანგარიშო წლების მიხედვით თავიანთი საქმიანობის ანგარიშები და საქართველოს კონტროლის პალატის მოსამსახურეთა ზღვრული რიცხოვნობის შესახებ ინფორმაცია.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებების და ბრიფინგების ტექსტები უახლესი მდგომარეობით:



10. განყოფილებაში „ანგარიში“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „წლიური ანგარიშები“ არ მოიძიება საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის 2011 წლის ანგარიში და მიმდინარე კვარტალური ანგარიშები:

თქვენ იმყოფებით: მთავარი » ანგარიში » წლიური ანგარიშები

ამობეჭდვა

საქართველოს კონტროლის პალატის 2010 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს კონტროლის პალატა სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი პროფესიონალური ორგანოა. იგი უწყებრივად, ფინანსურად, ფუნქციურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია – თავის საქმიანობაში ემორჩილება მხოლოდ კანონს.

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებისა და მიზნობრიობის დაცვას, ეფექტიანობას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის პრინციპებია:

- ობიექტურობა;
- დამოუკიდებლობა;
- საჯაროობა;
- პროფესიონალიზმი.

საქართველოს კონტროლის პალატა საზოგადოების წინაშე საჯარო დაწესებულებათა ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია.

იხ. ვრცლად: 2010 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს კონტროლის პალატის 2009 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს კონტროლის პალატის ისტორია 1918 წლიდან იწყება: 28 ივნისს დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა მისი სტატუსი.

სახელმწიფო კონტროლიორს ევალებოდა თვალყურის დევნება ფინანსების ხარჯვაზე, კრედიტების განაწილებასა და ანგარიშის წარმოებაზე; მასვე უნდა გამოეთქვა მოსაზრება საბეგრო (საგადასახადო) სისტემის გადასახადების, ბაჟისა და სხვა სახის სახელმწიფო შემოსავლების მოკრების ავკარგიანობაზე.

1921 წლიდან, საბჭოთა აწექსიის 70 წლის განმავლობაში, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი, სსრკ-ის სახალხო კონტროლის კომიტეტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

დღევანდელი კონტროლის პალატა, რომელიც შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სამართალმემკვიდრეა.

იხ. ვრცლად: 2009 წლის საქმიანობის ანგარიში

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

12. განყოფილებაში „სტრატეგია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „აუდიტის გეგმები“ სასურველია აგრეთვე მოიძიებოდეს საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის 2012 წლის გეგმა:



13. სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული ქვე-განყოფილება სათაურად „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქართველოს კონტროლის პალატის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

14. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-) განყოფილება - ,,პროგრამები/პროექტები“, რომელიც მოიცავს იმ პროექტებისა და პროგრამების ჩამონათვალს, რომლის დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს კონტროლის პალატა. მოცემული (ქვე-)განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ მოხსენებებს.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებას სათაურად „კანონმდებლობა“ სასურველია გადაერქვას სახელი და ეწოდოს „სამართლებრივი აქტები“. სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად განთავსდეს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებები, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების თავმჯდომარეთა ბრძანებები, საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველი საბჭოს გადაწყვეტილებები, საქართველოს კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებისა (მათ შორის, აუდიტის დეპარტამენტების) და ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების დებულებები, კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით განსაზღვრული აუდიტის აქტის ფორმა, სტრუქტურა, შინაარსი და სხვა რეკვიზიტები, საქართველოს კონტროლის პალატის შინაგანაწესი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით კონტროლის პალატის შესაბამისი აქტების პროექტები, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. აგრეთვე, საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები, კონტროლის პალატის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

ამასთან, ვებ-გვერდზე განთავსებული შემდეგი სამართლებრივი აქტები **მოცემულია ძველი მდგომარეობით**:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“;
- საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტი.



საქართველოს კონტროლის პალატის მოქმედი რეგლამენტი და შინაგანაწესი სასურველია მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებებში.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ საქართველოს კონტროლის პალატაში მიღებულ მიმართვათა განხილვის წესისა და ვადების აღწერა;

17. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი სახის ინფორმაცია საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და კონტროლის პალატაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის

შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს კონტროლის პალატისათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პალატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/kontrolispalata_sajaroinfo.pdf*

ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პალატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/kontrolispalata_infostatistics.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საქართველოს კონტროლის პალატასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, კონტროლის პალატასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები", სადაც განთავსდება საქართველოს კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს კონტროლის პალატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის*

პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პალატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/kontrolispalata_shesyidvebi.pdf);

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს ქვე-განყოფილება „ვაკანსია და სტაჟირება“, თუმცა მასში არ არის განთავსებული ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (კონტროლის პალატის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.* :



- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება კონტროლის პალატისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია 2012 წლის მდგომარეობით;

- არ მოიძიება კონტროლის პალატის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს კონტროლის პალატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პალატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/5_kontrolispalata_budget.pdf*

  ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაციაც (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც აგრეთვე მოწოდებულ იქნა. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე:

  http://www.opendata.ge/pdf_files/kontrolispalata_budget.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს კონტროლის პალატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა განცხადების მიღების მომენტისათვის კონტროლის პალატის სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი (თანამდებობის პირთა ვინაობა [სახელი და გვარი] და თანამდებობის სახელწოდება), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პალატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/kontrolispalata_tanamdebobispirebi.pdf*

ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა შტატში და შტატგარეშე მომუშვე პირთა საერთო რაოდენობა ცალ-ცალკე, 2011 წლის მეორე კვარტალის (აპრილი-მაისი-ივნისი) მდგომარეობით, რომელიც აგრეთვე მოწოდებულ იქნა. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/8_kontrolispalata_tanamshromlebi.pdf);

- არ მოიძიება კონტროლის პალატის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;

*(**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ** საქართველოს კონტროლის პალატას გაუგზავნა განცხადება, რომლითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და 40-ე მუხლების საფუძველზე ითხოვდა ინფორმაციას კონტროლის პალატის თანამშრომელთა ხელფასებსა და პრემიებზე 2008 წელს დახარჯული თანხების შესახებ, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პალატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/kontrolispalata_xelfasisaia.pdf*

*პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს კონტროლის პალატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პალატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/a_kontrolispalata_xelfasipremia.pdf*

ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაციას (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პალატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/kontrolispalata_xelfasipremia.pdf).

ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „ბიუჯეტი“.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ადმინისტრაციული ორგანოების ელექტრონულ რესურსებზე დინამიურად უნდა აისახებოდეს საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს ონლაინ რეჟიმში ადევნოს თვალყური კომპეტენციის სფეროში დაგეგმილი ან განხორციელებული ცვლილებების შედეგებს. ცნობილია, რომ 2011 წლის 30 დეკემბრიდან ძალაში შევიდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლის შედეგად, კონტროლის პალატამ შეიძინა **დამატებითი ფუნქცია - განახორციელოს პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი.** ამავე დროს პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად დაწყებული პროცესის განხორციელებისათვის კონტროლის პალატაში შეიქმნა - პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურიც. სამწუხაროდ აღნიშნული მნიშვნელოვანი ცვლილებები სათანადოდ ვერ აისახა კონტროლის პალატის ვებ-გვერდზე. კერძოდ, ვებ-გვერდზე არ არის არანაირი ინფორმაცია ახალი სამსახურის შესახებ, არ არის ინფორმაცია ახალი სამსახურის ხელმძღვანელის შესახებ, არ მოიპოვება ახალი სამსახურის დებულება, ვებ-გვერდის კანონმდებლობის განყოფილებაში არ არის მოცემული შესაბამისი მოქმედი სამართლებრივი აქტები მაგ.: „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 28 დეკემბერს N5662 კანონით შეტანილი ცვლილება. ვებ-გვერდზე არ არის გარკვევით წარმოდგენილი ახალი ცვლილებების მნიშვნელობა, პროცედურები და გეგმები.

ჩვენ აგრეთვე მივესალმებით იმ ფაქტს, რომ ვებ-გვერდზე სასწრაფო წესით შეიქმნა პარტიების ფინანსური მონიტორინგის ცალკე განყოფილება, სადაც ქვეყნდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების საქმიანობასთან დაკავშირებით:



თუმცა, ჩვენის აზრით, მნიშვნელოვანია აგრეთვე შესაბამისი განყოფილების განახლებაც რომელიც ეხება კონტროლის პალატის უშუალო ფუნქციას აკონტროლის საჯარო დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა. სამწუხაროდ ზემოაღნიშნულთან პირდაპირ კავშირში მყოფი განყოფილება „**აუდიტის აქტები**“ დღეის მდგომარეობით ცარიელია, მიუხედავად იმისა, რომ კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა კონტროლის პალატის აუდიტის აქტები და გადაწყვეტილებები საჯაროა:



ჩვენ აგრეთვე ვთვლით, რომ 2011 წელს საქართველოს კონტროლის პალატიდან გაგზავნილი წარდგინებებისა და მიღებული პასუხების განყოფილებაში არსებული 3 გვერდიანი დოკუმენტი სრულად ვერ ასახავს კონტროლის პალატის აღნიშნულ საქმიანობას, ხოლო წლიური ანგარიშების მიმოხილვითი ფორმა, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ ცალკეული აუდიტის შედეგები, ვერ მისცემს საზოგადოებას მეტი დასკვნების გაკეთების საშუალებას კონტროლის პალატის საქმიანობის ეფექტურობასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ კონტროლის პალატის ვებ-გვერდზე, მსგავსად პარტიების ფინანსური მონიტორინგის შედეგებისა, უფრო სრულად უნდა აისახოს კონტროლის პალატის სხვა საქმიანობაც, მათ შორის პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტის შედეგების აქტები, ცნობები და სხვა საჯარო ინფორმაცია.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88.89%
2. ძიება
60.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
76.47%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
53.33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
85.00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
71.43%
9. ელექტრონული ჩართულობა
16.67%
10. ელექტრონული სერვისები
9.09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
0.00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50.00%
0
0.2
0.4
0.6
0.8
1

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდს გააჩნია „ხშირად დასმული კითხვების“ გვერდი - „ხდკ“, ვფიქრობთ მომხმარებლისთვის გაცილებით გასაგები იქნებოდა ამ განყოფილების ტრადიციული ლათინური აბრევიატურა - “FAQ”. მაგ:



ვებ-გვერდზე მეორდება ზოგიერთი სიახლე. მაგ:



თუმცა მომხმარებლის მხრიდან გაუგებარია ადმინისტრირებაშია დაშვებული შეცდომა, თუ პროგრამულ კოდში;

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდის ქართულევანი ვერსიის საკონტაქტო გვერდზე უნდა ავტომატურად უნდა იყოს შესაძლებელი ქართული ფონტი (უნიკოდის) გამოყენება. ამჟამად ეს კრიტერიუმი ვებ-გვერდზე არ არის დაცული. მაგ:



- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდზე არსებული ბლოგი ცარიელია:



ზოგიერთი კატეგორიის RSS არხი არ მუშაობს.

მაგალითად კატეგორია „ანონსების“ RSS არხი:

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის RSS არხი გაუმართავია. მაგ:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის აქვს ძალიან მნიშვნელოვანი ტექნიკური წუნი:



ჩვენ დეტალურად არ ვწერთ ზემოთ აღნიშნული პროგრამული წუნის შესახებ, თუმცა კონტროლის პალატის ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით აღნიშნულის სრულ ანალიზს;

ვებ-გვერდის ROBOTS.TXT-ში ჩაწერილია ისეთი ინფორმაცია, რომელიც მომხმარებელმა არ უნდა იცოდეს. მაგალითად კონტროლ პანელის მისამართი:

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონტროლის პალატის ვებ-გვერდი ერთ-ერთი ყველაზე ხარისხიანი ელექტრონული რესურსია, საქართველოს საჯარო სივრცეში, მაგალითად ოფიციალური ბლოგი ჯერ-ჯერობით არც ერთი საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე არ შეგვხვედრია, პირველად შეგვხვდა აგრეთვე ისეთი სერვისები, როგორც საბიუჯეტო კალენდარი, მანძილის განმსაზღვრელი რუკა და სხვა. მიუხედავად ამისა ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია მისი შემდგომი დახვეწაც. მაგ. ვებ-გვერდს პრობლემები აქვს უსაფრთხოების კუთხით, რაც პირველ რიგში უნდა გამოსწორდეს. ასევე გამოსასწორებელია სხვა დეტალები, როგორიც არის ბმულების გამართულობა, RSS არხების მოწესრიგება, ძიების მოდულის გამართვა და სხვა.